572
1984

1984 წ. სექტემბერი № 9

ფერადი

ISSN 0132-5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსსახსოვარი



სექტემბერი

1 — მშვიდობის საერთაშორისო დღე.

1 — ჩვენს ქვეყანაში სწავლის დაწყების დღე.

ბავშვებო!

ჟურნალ „დილის“ რედაქცია გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას და ახალ ნათელ დღესასწაულს — ცოდნის დღეს, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება 1 სექტემბერს.

სოსელო

დილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო
და შენც ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

მხატვარი ირა რაზმაძე



„ქრისტიანის სახალხოების“ გამოცემა.

დედა ენა

მეორე ნაწილი.

საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ

სკოლებში სახმარებელი.

ორმოცდა ერთ ხელად ეკრნა.

შედგენილი

იაკობ ბოგდანოვისა-მიერ.

ოცდა-შვიდიდ გამოცემა (467,000).

ხალიჩა ახალ სიტყვა ლექსი, ნახატი სამეცნიერო, ნიკაპზე ეკლიანი ბალი, ანგარიშები სამონაკვეთის ლექსიკონი და სხვანი.

ფასი ეღირა ორი ანაბრი.

ტფილისი 1912.

ლიტ.-მბეჭდავი ტიპი ს. ფრიანტიანისა, მიხეილ ქ. № 3.

8/ 2/8
1/ 2/8

ზარმაცი და ბეჯითი

სანდრომ უთხრა თავის დასა:

— კმეტ, ჯერ ვითამაშოთ, მერე ვიკითხოთ.

კმეტმ უთხრა:

— არა, ჯერ ვიკითხოთ, მერე ვითამაშოთ.

ყაყაჩო და ყმაწვილი

იაკობ ბოგდანოვი

ეაყაჩოსა სიწითლითა ეანა დაუმშვენებია,
უძაწვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია.

სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი

— ვანო, სკოლაში წადით.

— ფეხები საშინლად მტკივაო.

— ვანო, მოდი, ლეკური დაუარეო.

— აბა ერთი კარგი ტაში დაუკარითო.

გავშვის სათვალე

— მამილო, მეც მიეიდე სათვალეო.

— რად გინდა, შვილოო.

— შენსავით წიგნები უნდა ვიკითხოო.

— კარგიო,—უთხრა მამამ,—და უეიდა ანბანი.

მხატვარი ლალი ლოგთაძე

საქ. სსრ კ. მა...
სახ. სახ. ბიბ...
ბიბლიოთ...

მზია ხეთაგური

ნაბვრისთვალი წიგნში

ერთი ზარმაცზე ზარმაცი გოგო იყო. ოღონდ გაკვეთილს ნუ ისწავლიდა და მთელი დღე აღმა-დაღმა ირბენდა. ზარმაცი სწავლაში იყო, თორემ სირბილი რაკი არ ეზარებოდა, მაშასადამე, ყოჩაღიც კი ეთქმოდა. ერთხელ სადღაც ყური მოჰკრა — ნატვრისთვალი ვისაც ჩაუვარდება ხელში, ყველა სურვილი აუხდებაო. ვეღარ მოისვენა გოგომ. სულ ნატვრისთვალზე ფიქრობდა, ეჰ, მე რომ მქონოდა, ვინატრებდი, გაკვეთილები თავისით მიფრინდებოდნენ თავშიო. ერთ ღამეს სიზმარი ნახა: ვითომ უცხო ქვეყანაში იყო და ნატვრისთვალი იპოვა. მაგრამ უცებ ვიღაც მოხუცმა ხელიდან წაგლიჯა და უთხრა: ეს ნამდვილი ნატვრისთვალი არ არის. ნამდვილი ნატვრისთვალი სულ სხვაგან ინახება, ერთ წიგნში ამოვიკითხეო. რომელ წიგნშიო?—ყურები ცქვიტა გოგომ. ეგ არ მახსოვს,—უპასუხა მოხუცმა,—ნამდვილად კი ვიცი, რომ წიგნში ეწერა იმ ნატვრისთვალის ასავალ-დასავალიო. ამ სიტყვებზე გოგოს გაეღვიძა. მთელი დღე იმ წიგნზე ფიქრობდა. ჯერ თავის კლასის სახელმძღვანელოებს ეცა — სულ გულდაგულ წაიკითხა, მაგრამ ნატვრისთვალის ამბავს ვერ მიაგნო. მერე სახლში მთელი წიგნები ამოქექა და სათითაოდ ჩაიკითხა. გადიოდა დრო. გოგო გამწარებული ეძებდა წიგნს, სადაც ნატვრისთვალზე ეწერებოდა რამე. ამის გამო ბიბლიოთეკაშიც იარა, მეზობლების წიგნებიც გადაიკითხა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს ისე გაერთო კითხვით, რომ თანდათან ნატვრისთვალიც გადაავიწყდა. გაიზარდა გოგო, ცოდნა დააგროვა და ყველა თავისი სურვილის ასრულებაც შეძლო. მაშინ მიხვდა, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ცოდნაა და სწორედ ეს იყო ის ნატვრისთვალიც, რომელსაც ასე გულდაგულ ეძებდა.

მხატვარი თეიმო მჭედლიძე

პორსტ მოკროსი

ზღაპარი რიცხვებზე

პირველად არც ერთ ციფრს არ უნდოდა ნულთან დამეგობრება.

— ნეტავ რას ნარმოადგენ!? ერთი უშნოდ ჩამრგვალებული ბრიყვი ნული ხარ და მეტი არაფერი. აბა, წადი, გზას ბარაქა დაგაყარე! — ასე გამოთათხა ყოყოჩმა ცხრიანმა ნული და გაწბილებული მიატოვა.

— ჰა, ჰა, ჰა, — სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა რვიანი, — ჩემთან მოტმასნება გნებავს? არ იცი, რომ მე თითქმის იმდენივე ღირებულება მაქვს, რაც ცხრიანს?

ამგვარმა აბუჩად აგდებამ ნული ძალიან დააღონა.

მერე ისევ გამბედაობა მოიკრიბა და ცელსივით შემართულ შვიდიანს შესთავაზა მეგობრობა.

მაგრამ შვიდიანმა პასუხის ღირსად არ ჩააგდო.

ნული მწარედ ატირდა, სლუკუნით მიადგა ექვსიანს და ბედი ახლა მასთან სცადა.

ექვსიანმა აგდებულად მიუგო:

— მე რომ მინდოდეს, ცხრიანიც კი შემიძლია ვიყო, ამისათვის მხოლოდ ყირაზე დადგომაა საჭირო, შენ კი შეამხანაგებას მთხოვ?

ასევე გამოაპანღურეს ნული სქელუა ხუთიანმა, ქონგურებიანმა ოთხიანმა, წელკავიანმა სამიანმა და კუდიანმა ორიანმა.

ჰოდა, სწორედ იმ დროს, როდესაც მთლად იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი ნული ციცაბო კლდიდან დაგორებას აპირებდა, ერთიანმა ჩამოიარა და ჰკითხა:

— რა გატირებს, ძვირფასო ნულო, ხომ არაფერი იტკინე?

ნულმა უამბო, რა უდიერად მოეპყრნენ მას დანარჩენი ციფრები.

ერთიანმა ნულს ხელი გადახვია, ნაზად აკოცა და ასე უთხრა:

— მოდი, ერთად ვიყოთ, ბოლოს და ბოლოს ბევრი არა დამაკლდება რა, გინდაც ნულად გადავიქცე. დიდი ციფრები მეც აგდებით მეკიდებიან. განსაკუთრებით ბაქია ცხრიანს მოაქვს თავი. დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ ერთად იმაზე მეტი ვართ!

ასე შეკავშირდნენ ერთიანი და ნული, და ათად იქცნენ.

როცა დანარჩენმა ციფრებმა შენიშნეს, რომ ერთიანი და ნული უცებ თითოეულ მათგანზე მაღლა დადგნენ, ბრაზით, შურითა და ბოღმით აივსნენ. მთელ დუნიაზე დაიწყეს ნულების ძებნა და მოიძიეს კიდეც.

გახდა თუ არა ნულის წყალობით ცხრიანი ოთხმოცდაათი, ცხვირი უწინდელზე კიდევ უფრო მაღლა ასწია. დანარჩენი რიცხვებიც ასე მოიქცნენ. მათ დაცინვა დაუწყეს ერთიანსა და ნულს, რომლებიც ახლა ისევ გაცილებით დაბლა დადგნენ სხვებზე.

ნულმა თავისი დაიკო ამოიყენა გვერდით და ახლა სამივე ერთად ასი გახდა.

დიდმა ციფრებმაც თავთავიანთი ნულები მაშინვე დების, დედების, დეიდების, მამიდების, ბიცოლებისა და ბებიების მოსაყვანად გაგზავნეს.

მას შემდეგ გაჩაღებულია რიცხვთა შეჯიბრი ყველაზე მეტი ოდენობის ნულისათვის, და ამ პაექრობას დასასრული არ უჩანს, რადგან ქვეყნად ურიცხვი ნულია.

მხატვარი ლადო ტატიშვილი

გერმანულიდან თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა.

აკაკი გეწაძე

ქართული ანბანის ამბავი

ცხრათვალა მზის ხათლული,
ოქროს შუქში ნაბანი,
ლაჟვარდიდან ქართული
ჩამოფრინდა ანბანი.

ა აკვანში ჩაფრინდა,
შეეცილა არწივი.
აქლემმა თქვა:
— მეც მინდა
ასო-ბგერის ნაწილი!
ბ ბალახში იპოვეს
ბებიამ და ბაბუამ.
— ბუს თუ ბ არ ერგება,—
ბუმ თქვა,—ის ბუ რა ბუა?!
გ ირგუნა გულმა, გედმა,
გამგზავრა გალმა გემით.
გრიგალმა თქვა:
— გ მეც მინდა!
გუდამ უთხრა:
— იყოს ჩემიც!
დ დოლის ხმას დაეწყვილა,
დაეხატა დავთარს, დაფას.
დევმაც, დათვმაც დაიჩემეს,
დილამ შუბლი დაიდაფნა.
ნ წილად ხვდა ეზოს, ედემს,
ერგო ენდროს, ერგო ერბოს,
ელექტრონს და ენას, ელვას...
ერთი სიტყვით, მრავალს ერგო.
ვ დამშვენდა ვარდს და ვენახს,
დაიჩემეს ვაზნამ, ვაზმა,
ვ-ს პატრონად, ვაშლის გვერდით,

ვარსკვლავთ გუნდი დაირაზმა.
ზ შეიბა ზებრამ ზარად,
აზანზარდა ზარბაზანი.
ზ დამშვენდა ზამთრის ზეიმს,
ზამთარს მოჰყვა თოვლის ზვავი.
თ თხას რქაზე დაეკიდა,
თხარა, თოხნა, თიხა ზილა,
იქცა თასად, თაფლად, თოვლად,
თავად, თალად, თვალად, თხილად,
ი იას ვინ დააშოროს,
ხოლო იას—იავნანა.
ირემს ექცა იალაღად,
იხვს შეება იალქანად.
კ აკნავლდა კატის კნუტთან,
კ მიედგა კაკალს კიბედ.
კევრი, კავი და კალათა
კერკეტ კაკალს დაეკიდნენ.
ლ ლებანმა აიღო,
შეეცილა ლავაში,
ლამის მოსტყდა კისერი
ღ-ს იმ შეხლა-დავაში.
მ მელიამ მიიმხრო,
მაიმუნმა დამალა.
ეს ამბავი მზეს უთხრა
მამლის მთელმა ამალამ.
ნ ნიავმა ნახა და
მიიწვია ნადიმზე,
ნამით ნაბან მინდორზე
ერთად ენთო ასი მზე.
ო-მ ოდები ააშენა,
„ოდოია“ შემოსძახა,
ომის, ობის მოსასპობად
ოკეანე გადალახა.
პ პაპას ხვდა პირველად,
პირიმზეს და პატარებს,
ხოლო ახლა ჰ ასოს
პინგვინიც კი ატარებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟ ჟირაფმა ასწია
ცაში, როგორც ჟინჟილა.
ბეღურების გუნდმა კი
ტყეში ააჟივჟივა.
ი რუს შეეზიარა,
რაშს, რადიოს, რაკეტას.
რია-რია რომ ატყდა,
კარი რაზით ჩაკეტა.
ლ მოერგო სუფთა სარკეს,
სარმით დასცა ზურგზე სპილო.
შეთხზა სითბო, სიახლოვე...
სატირალი... სასაცილო...
ს ტელეფონს ატუტუნებს,
ტაში-ტუშიც იცის ტაშტით,
ტაროს ტეხავს ყანაში და
ტალღებს ტორავს ტორით ტბაში.
ე სულ მხარში უდგას უთოს,
ძმაა უზანგ-უნაგირის,
გულს უკეთებს უნუგეშოს,
გულით უყვარს ყველა გმირი.
ფ ფალავნობს ფალავნებთან,
ფრთამალ ფრინველს ფრთაზე აზის,
ფერდობ-ფერდობ ფარას მწყემსავს,
იცის ყველა ფერის ფასი.
ვ ამშვენებს ქოლგას ტარად,
მეგზურია ქუჩის, ქარის,
მეგზურია ქარავანის
და შუქია ქურის, ქარვის.
ღ ღრუტუნებს ღორთან ერთად,
ღავლავია ღამით ძაღლის.
უვლის ღარიბ კაცის ღადარს,
უღრენს ღრუბლებს თქვშად დაღვრილს.
ყ ყავარზე დაჯდა ყვავად,
ყალთაბანდობს, ვითომ ყრუა.
სანატრელი მისცეს ყველი,
მოუტეხეს პურის ყუა.
შ შევარდენს შეეხიზნა,
შემდეგ მდგმური გახდა შაშვის.

შალაშინმაც შეიშვენა,
შვერია ბოლოს შაბშიც.
ჩ ჩალას ჩვრით ჩაეკიდა,
მერე ჩუმად ჩაფში ჩახტა.
როცა იქცა ჩურჩხელებად,
ჩვენ ყველანი დავრჩით სახტად.
ც ცუნდრუკა ცხენს მოახტა
ცას ახედა ცალი თვალით,
აცანცარდა, ცურვაც სცადა
და აებნა ცუღლუტს კვალი.
ძ ძარაზე აძვრა როცა,
აძაგძაგდა ძარა ძველი.
ძაღლს წაართვა ძაღლმა ძვალი,
ძვალი მუდამ სანატრელი.
წ წრუწუნას წინ დაუხვდა,
დატრიალდნენ წრეში სწრაფად...
წერომ წიგნი წაიკითხა,
სწავლით წეროც გაიწაფა.
ჭ ჩავარდა ჭაში ჭიქით,
გამოჭენდა ჭისკენ ჭალა.
ჭინკა ჭურში შეჭუკჭუკდა,
ჭუკი ჭმუნვით განიმსჭვალა.
ხ ხარაზის გახდა ხვედრი,
თანხმლებია ხის და ხარის.
ხვეში ეხო ისმის მეხის,
ისმის როგორც მთის ხარხარი.
ჯ ჯიხვის ჯგროს დაეჯახა,
ეჯაჯგურა ჯიბრით ჯაგანს.
ჯერ მეგზური გახდა ჯარის,
მერე ჯადო მოსცხო ჯაბანს.
ჰ დასჭირდა ჰაერს, ჰამაკს,
სიტყვას—სათქმელს ჰაიჰარად,
ჰანგით—ჰარიჰარალეთი
ბოლოს თვითაც გაიხარა.

ცხრათვალა მზის ნათლული,
ოქროს შუქით ნაბანი,
ლაჟვარდიდან ქართული
ჩამოფრინდა ანბანი.

მხატვარი ბესო ხიდაშელი

მზია ჩხეტიანი

გაგა მიდის სკოლაში

— გაგა სკოლაში მიდისო?!
გაგა მოსწავლე არისო?!—
სახლი ფანქრებით აივსო,
სახლი კალმებით აივსო...
ჩხირები—სათლელი-სათვლელი,
ჩხაკუნა საანგარიშო.
საშლელი და რა საშლელი,
რა ფერისა და გვარისო!
ცხრა „დედა ენა“ ხატულა;
ასეთი რამე ნახულა?
ასი რვეული ხატვისთვის,
ორასი—სუფთა წერისთვის!
ვინ რას არ ჩუქნის,
რა ვიცი...
თან აფრთხილებენ:
— შენ იცი,
მოშურნე არ გაგვიცინო,
მტერს დაუყენე თვალი,—

არ მოგვკლა,
არ შეგვირცხვინო
შეურცხვენელი გვარიო,
დედ-მამა,
ბიძა, მამიდა,
უფროსი ძმა და დეიდა...
— აგერ, საკუთრად მაგიდაც,
ჰოდა, შენ იცი დღეიდან!
— რაკიღა ეს დღეც მეღირსა,
აბა რა მომკლავს აწიო,—
პაპამაც ფრთები შეისხა,
გამზეშაბუქდა კაცია.
ბებიამაც თქვა თავისი:
— იქ ხომ შიმშილით
მოკვდები!
ახალი ჩანთა აუვსო
ვაშლებით, ბუტერბროდებით.
ბიჭი კი ამბობს:
— გბირდებით,
კარგი მოსწავლე ვიქნები.
ოღონდ ჩანთაში როგორმე
ჩამაწყობინეთ წიგნებიც!

მხატვარი ლადო ტატიშვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა მშვიდობისა!

ჩემო ძვირფასო ქალბატონო მაყვალა, სიყვარულს იმით გიცხადებთ, რომ ჩემს შვილიშვილს ხშირად ვუკითხავ თქვენს წიგნებ ს..

კაკ, კუკ,
კაკ, კუკ!

დილა მშვიდობისა, ქალბატონო მაყვალა —შესძახა ხეკაკუნა კოდალამ და თავის საქმე გააგრძელა.

დილა მშვიდობისა, დეიდა მაყვალა!—თქვა ზურგზე სახლწამოკიდებულმა ლოკოკინამ და ჩრდილში გაირინდა.

აქეთ ცხრათვალა მზე იჭყიტება ღრუბლებიდან, იქით ნაცარა ჩიტი გალობს, ქათიბგადაბზინებული ფისოც პირს იბანს და, დილა მშვიდობისაო, კრუტუნებს.

„ერთი ბალი,
ორი ბალი,
ბევრი ბალი—კუნწულა!
ჩიტუნიამ დაკრიფა,
ჩვენთან მოაცუნცულა“.

ბაჟიები და მელიები, წეროები და კენგურუები, ზღარბები და დათუნიები, მოკლედ, დიდი ამბავია თბილისში. მთელი საქართველოს ფრინველები და ცხოველები პავშვებთან ერთად გაზაფხულის ერთ დიდ ჭრელ მინდორზე მოგროვილან და დეიდა მაყვალას ესალმებიან: დილა მშვიდობისა, დეიდა მაყვალა, დილა მშვიდობისა... აბა, ჩემო ირინოლა, ჩემო მშვენიერო! დეიდა მაყვალა ამ წიგნის ავტორია, მაყვალა მრევლიშვილი, ბავშვების მოამაგე და შვიდფერი მუზის მესაიდუმლე. დეიდა მაყვალას რომ ბავშვები უყვარს, ისე ალბათ დედას თუ უყვარს თავისი შვილები... აი, შენ მე რომ მიყვარხარ, ისე უყვარს დეიდა მაყვალას ყველა ბავშვი.

მოდი, ჩემო ირინოლა, იმ ჭრელ მინდორზე ჩვენც შევუერთდეთ დანარჩენებს. და ჩვენს საყვარელ პოეტსა და მამულიშვილს დაბადების დღე მივულოცოთ.

მაყვალა მრევლიშვილი

თუ...

თუ ქოლგაში ატანს წვიმა,
თუ ბარკიდან ბანტა ცვივა,
თუ ფამფალი გააქვთ კიჭებს
ანდა კატა თაგვს ვერ იჭერს,
თუ საკეტი მოშლილია
და ჩანთები—ბირაღია,
უვარგისი, უმაქნისი
უსათუოდ ეგ არიან.
ეს საკეტი,
ეგ საკეტი,
ზედ ქოლგები,
ზედ კატები
(ზანტები რომ ბრძანდებიან),
გა-მო-უ-სა-დე-გა-რი-ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ჩვენი ხევი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ჩვენი ხევი მთლად პატარა წყალია. ხუთი წლის ბალღს მუხლამდე ძლივს მოსწვდება. მოდის, მოჩუხჩუხებს ქვა-ღორღიან რიყეზე, ოქროსფრად ციმციმებს მზეში, ზოგ ადგილას თეთრადაც ქაფდება, შუაში ჩაუვლის სოფელს, გავა სოფლიდან, გაივაკებს და შეუერთდება მდინარეს. სახელიც კი არა აქვს თავისი, ყველა „ჩვენ ხევს“ ეძახის. ჩვენი ხევი ადიდდებაო, ჩვენი ხევი მთლად დაშრებაო. ზაფხულობით მართლაც შრება ხოლმე, ბაღ-ვენახებს აღარც კი ჰყოფნის მოსარწყავად. არის ჩხები და თოხების ტრიალი, — არა მე უნდა წავიყვანო წყალი, არა, მეო. შემოდგომასა და გაზაფხულზე, წვიმიანებში, მატულობს, ფერიც ეცვლება, ყვითლად იმღვრევა.

— უწინო, შვილოო, — ამბობს ძველი ხალხი, — სმითაც სულ ჩვენს ხევს ვსვამდითო. ეგეთი მარგებელი წყალი მეორე არ იქნება ქვეყანაზეო. ავიტანდით დილაადრიან დიდი კოკებით და სურებით, დავდგამდით სიგრილეში და ვსვამდით და ვსვამდით. როცა ძალიან ამღვრეული იყო, მაშინაც. ჩავაყრიდით სულ ცოტა დაფქულ შაბს და დაწმინდავდებოდა ხელდახელ. ახლა, რაკი ეს მილის წყაროები გვაქვს, ხევის წყალს აღარა კადრულობენ, მაგრამ ტყუილად! ჯერ მარტო საიდან მოდის, ერთი გახედეო!

გახედავ და დაინახავ ღონივრად აზიდულ მთას. ჯერ ტყიანია ეს მთა, ტყით დაბურული, მერე ბალახიანები იწყება, სამთავა მწვერვალიც ბალახით აქვს გადახავერდებული. შუაში, ყველაზე მაღალი მწვერვალის მარჯვნივ, ხრამი ჩამოდის. ის ხრამი ზამთრობით თოვლით ივსება. მერე დნება თოვლი, დნება და ივლისამდე ძლივს ჩამოიკრიფება. ჯერ იმ თოვლის ნაჟური მოწანწკარებს თიხიანებში, მერე, ტყეში შემოსულს, სხვა ნაჟურებიც უერთდება, თანდათან იზრდება, ხმასაც იმაღლებს, თქრიალებს, შფოთავს, შხეფებით სწვდება ბალახებსა და ფოთლებს, პატარა მდორეებში ილექავს წმინდა სილას. მოფრინდებიან ფრინველები და სიამოვნებით სვამენ, ბანაობენ, ჩაჰკრავენ თავს წყალში და გადაივლებენ მხრებზე, ათახთახებენ ფრთებს შიგ. გამოვა თვალხატულა შველი და ისიც დაეწაფება წყალს. გამოვლენ ღორები, მიურ-მოურევენ დინგებით, ჩაწვებიან, აამღვრევენ, აატალახებენ, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ წყალი მალევე იწმინდება, ასიოდე ნაბიჯზე ისევ წმინდა მოდის. ჩამოივლის ტყეს, მერე ვენახებს. ვენახებში, თუ ცხელი ზაფხულია, მიმოუკადებენ აქეთ-იქით, ვაზსა და ბოსტნეულს რწყავენ. წყალს უხარია, მწყურვალ მიწას რომ გულს უგრილებს. შემოვა სოფელში და სოფელი ხვდება... როგორ ხვდება სოფელი?! რაღა არ ჩაუყრია შიგ: თუნუქის დაჯეჭყილი ღუმელი, მანქანის დაფაშვული საბურავები, რკინის სალტეები, დაბრეცილი ზედადგარი, ნავთქურა, ძირგახვრეტილი ქვაბი, რეზინის ჩექმები, ფეხსაცმელები, მკვდარი ქათამი, აყროლებული მლაშე თევზი, კიტრები, კომბოსტო, ბოთლები, კონსერვის ყუთები, ტოტმოხეული შარვალი, თივა... ყველაფერი გაფუყულია, გალორთხილი. წყალი მაინც წყნარი ღუღუნით მიდის. ბევრს იტანს კეთილი. მაგრამ როდემდის? უმატებენ და უმატებენ ნაგავს.

და აი, ერთ დღეს ეს წყნარი წყალიც ამბოხდება. ხმაურით დაიძვრება მთიდან, წამოიყოლებს კოკისპირულ წვიმას. წამოიღებს ლოდებსა და ხეებს, გაიხვეტავს ნაგავსა და ნაყარს, ჩახერგავს ვიწროებს, გადავა აქეთ-იქით, შევარდება ახლო მცხოვრებთა ეზოებში, დააფეთებს, დააწიოკებს ადამიანებს, საქონელს, ფრინველს. შავ-ყვითლად გაფეშებული და მგრგვინავი, დანგრევას უქადის ქვეყნიერებას. მთელი სოფელი მისკენ მორბის. ზოგნი ებრძვიან კიდეც ნიჩბებით და ბარებით, ზოგნი დგანან და გაკვირვებულები იქნევენ თავებს.

წყალი მაინც ბოლომდე ვერ გაიმეტებს სოფელს. იბობოქრებს, იბობოქრებს, მერე თანდათანობით დაიკლებს, დაპატარავდება, ჩაწყნარდება. ჩაწყნარდებიან ადამიანებიც, ცხოველებიც, ფრინველებიც. აქეთ-იქით დარჩენილ გუბეებში პატარა ბავშვები დატყაპუნობენ.

მეორე-მესამე დღეს ხომ ისევ ჩვეულებრივი, უწყინარი წყალია — ღუღუნა, ალერსიანი. მიდის გარეცხილ, გასუფთავებულ რიყეზე. მზეზე ბრწყინავენ გაპრიალებული, გალვრეჭილი ქვები, ხალხი შინისაკენ ეზიდება წყლისგან მოტანილ ხეებს.

სულ მალე კი თავიდან დაიწყება ყველაფერი. გამოიტანენ და ზედ გადმოაყრიან ნაგავს. წყალს გუნება ემღვრევა. მაინც ითმენს. თამაშ-თამაშითაც კი მიაქვს მსუბუქი რაღაცეები. მძიმეებს ფსკერზე იტოვებს...

თითქოსდა გაუგონარია, არა, ადამიანს წყალი ეცოდებოდეს? მე მაინც ძალიან მეცოდება ჩვენს ხელში ჩვენი ხევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეზობელი

ირინე ტალიაშვილი

მხატვარი თეიმურ ფხიკიძე

სოფელი, სადაც სოფიკო ცხოვრობს, ძალზე პატარაა. გარშემო უამრავი მთა და გორა აკრავს, სახლებიც ამ მთებსა და გორებს შუაა ჩაკარგული. თუმცა სახლები რაღაა. შიგ სულ ათი-თხუთმეტი კომლია შემორჩენილი. სოფლელებმა მთა მიატოვეს და ზოგმა დაბლა, ბარად მდებარე დაბას მიაშურა, ზოგმაც დიდ ქალაქს მიაკითხა.

სოფიკოს სახლი ყველაზე მაღალ ადგილზეა წამოჭიმული. აქედან კარგად მოჩანს ძირს დაცემული ბარი და წითელკრამიტიანი, ხეხილში ჩაკარგული სახლები. მთის სახლებს ძალიან შურთ მათი, მაგრამ რა ქნან? დგანან მოწყენილები, ნაღვლიანები და. იგონებენ იმ ბედნიერ დროს, როდესაც ნახირის ბღავილით ეგებებოდნენ მზის ამოსვლას და მხიარული ტაშ-ფანდურით — მთვარიანი ღამის მობრძანებას.

სოფიკოს ძალიან უყვარს მიტოვებულ, ცარიელ სახლებში სიარული, ჩამოუვლის ყველას სათითაოდ, შეიჭყიტება ღია კარებში და — უუ!-ო, — ეძახის ვიღაცას, მაგრამ ვის გააგონებს? აქაურობა ისეა დაფაცხავებული, რომ ექოს თავიც აღარა აქვთ, მთის ნიავი სტვენით გადის და გამოდის ჭუჭრუტანებში, ხოლო ღამღამობით, როცა ქარი შემოუტევს ფარღალალა სახურავებს, სოფიკოს კარგად ესმის მორყეული ანჯამების კვნესა და ჭრიალი.

— მტკივა, მტკივა! — თითქოს ტირიან უპატრონო სახლები.

შაბათი რომ დადგება, სოფელი გულისკანკალით ელის სტუმრის გამოჩენას. უცხო სტუმარი იშვიათად ჩამოდის სოფელში, შინაური კი ბლომად. შინაურები უმეტესად ქალაქში სასწავლებლად წასული გოგო-ბიჭები არიან. გაიხსენებენ ხოლმე თავიანთი სოფლის შარაგზას და მოადგებიან მშობლიურ სახლ-კარს.

ყველაზე მეტად მათი გამოჩენა სოფოს უხარია. დილიდანვე მაღალი კაკლის ტოტზეა დასკუპებული და უთვალთვალებს ფერდობზე ხოჭოსავით მცოცავ მწვანე ავტობუსს. დაინახავს თუ არა იქიდან ჩამოსულ სტუმრებს, ციყვივით ჩამოსრიალდება ტოტიდან და თავპირისმტვრევით გადარბის ეზოდან ეზოზე.

— მარია ბებო, მარია ბებოო, ნათელა ჩამოვიდა, ნათელაა! — გორიდან გორას გადაეცემა მისი ხმის ექო.

მარია ბებოს ხელში უშეშდება ხელსაქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებს არ უჯერებს, ძლივს მოეგება ხოლმე გონს.

—უი, შენ გაეზარდე დედას, ნუ მოეშალოს სოფელს შენისთანა მახარობელი! — ილოცება და თან დაღმართზე მიცუხცუხებს კაბის სწორებით.

აფორიაქებული სოფიკო ახლა მეორე ეზოსთან მიირბენს ქოშინით.

— ვასო ძია, დეიდა ელიკო, გოგი ჩამოვიდა, გოგი! ჭანჭურა!...

სიხარულისაგან თავგზადაბნეული მშობლები ლოცვა-კურთხევას დაადევნებენ გოგოს.

— ეს რომ არ გვყავდეს, რა იქნებოდა სოფელი, კაცო, რა იქნებოდა? — ღიმილით იგრეხს ულვაშს ძია ვასო და თან „ჭანჭურას“ შესაგებებლად მიიჩქარის.

საღამოთი ნამდვილი ზეიმი იმართება სოფელში. ახალგაზრდები ერთად იკრიბებიან და ტაშ-ფანდურის ხმა გვიანობამდე არ ცხრება.

— „არ გავცვლი სალსა კლდეებსა“, — გულდათუთქული დასძახიან თავიანთ სოფელს შექეიფიანებული ბიჭები. მეორე დღეს კი ისევ აიკრავენ გუდა-ნაბადს, ჩაინყობენ ჩანთაში შინ გამოხდილ ყველს, კარაქს, რძემაწონს, შოთ პურებს, ჩაიდგამენ ხელადით ღვინოსაც, გადაიკიდებენ მხარზე და გაუდგებიან ქალაქის გზას.

შარაზე თვალცრემლიანი, მხრებზე თავშალმოხურული დედები რჩებიან და უხმოდ, ხელისქნევით აცილებენ თავიანთ მარჩენლებს.

სოფიოც მათ შორის დგას ხოლმე. თანასოფლელებისათვის რაღაცნაირი ტკბილი სიტყვის თქმა, ნუგეშის ცემა სწადია, მაგრამ მათი გამტკნარებული სახეების დანახვა აშინებს. დაღონებული ეთიშება უფროსებს, მიდის გულდამძიმებული, დარდიანი და როგორც დიდი ქალები, ისიც ისე ფიქრობს:

— ეჰ, მოლოდინი მაინც კარგია! კარგი!..

ერდოზე ამ დროს უკვე დედამისია გადმომდგარი. შვილის დავიანებით შეშფოთებული თვალებზე ხელს იჩრდილებს და სოფელს გამოსძახის:

— სოფოოო...

დაძახილზე უპატრონო სახლებიც გამოცოცხლდებიან ხოლმე. ჟრუანტელივით გადაურბენს ექო მათ გამოცარიელებულ გულებს და — სოფოო! გაიმეორებენ ისინიც დედის ხმით. სოფიკომდეც მიაღწევს ეს ხმა, აევსება იმასაც სიხარულით გული, შეიკუნტრუშებს, გაშლის ხელებს და თავაწეული მორბის შინისაკენ.

— დედი! სოფიკო ჩამოვიდა, დედი!

სოფლის მახარობელიც ის არის და ოჯახისაც. ასეთია ჩვენი სოფო, მაშ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია ფალიაშვილი



თენგიზ ჩალაური

ალბათ ყველას გაგიგონიათ დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელი.

ზაქარია ფალიაშვილი 1871 წელს დაიბადა ქალაქ ქუთაისში. მუსიკის ანაბანა ოჯახში ისწავლა, მაგრამ, როგორც კომპოზიტორს, ქართულმა მუსიკამ დაურწია აკვანი.

ზაქარიამ ახალგაზრდობაში მოიარა საქართველოს მრავალი სოფელი, დაამუშავა 300 ხალხური სიმღერა და ჰანგი.მერე კი თბილისის კონსერვატორიაში ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის კაბინეტი.

თავის პირველ ოპერას „აბესალომ და ეთერს“ კომპოზიტორმა საფუძვლად დაუდო პეტრე მირიანაშვილის მიერ თქმულება „ეთერიანის“ მიხედვით დამუშავებული ლიბრეტო.

საქვეყნოდ ცნობილია ზ. ფალიაშვილის ოპერები „დაისი“ და „ლატავრაც“.

როგორც პედაგოგმა, ზაქარია ფალიაშვილმა შეადგინა კრებული, რომელშიც დამუშავებულია ქართული ხალხური სიმღერები: „დანამა“, „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი“, „გლესავ და გლესავ ნამგალო“, და სხვ.

ზაქარია ფალიაშვილს 1925 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

1933 წელს ზ. ფალიაშვილი გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი თბილისის საოპერო თეატრის ბაღში დაკრძალა, თეატრს კი სამარადისოდ მიაკუთვნა მისი სახელი.

ამ თეატრში არის შესანიშნავი წესი: ყოველი ახალი სეზონი ზაქარია ფალიაშვილის რომელიმე ოპერით იხსნება. ბავშვებო, იქნებ თქვენც მოხვდეთ ასეთ სპექტაკლზე. მაშინ, იმედია, არ დაგავიწყდებათ, ცოცხალი ყვავილების თაიგულით შეამკოთ ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის საფლავი.

ქართული ნანა

სიტყვები ილია ჭავჭავაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII საუკუნე

გივი გეგეჭკორი

ბავშვებო! ამ სურათზე თქვენ ხედავთ ესპანელ ბიჭებს. ეს ბიჭები სამი საუკუნის წინათ ესპანეთის ქალაქ სევილიის ვიწრო ქუჩებში, მდინარე გვადალკვივირის ნაპირზე ან ქალაქის ძველ გალავანთან დარბოდნენ და ღიმილით ხვდებოდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იქ ჩასულ მოგზაურებსა და ვაჭრებს.

ეს სურათი მეჩვიდმეტე საუკუნის ესპანელმა მხატვარმა მურილიომ დახატა. მურილიო სევილიელი იყო, იქ დაიბადა, იქ ცხოვრობდა და იქ გარდაიცვალა. ამჟამად სევილიაში არის მურილიოს სახელობის ქუჩა, არის სახლიც, სადაც მურილიო ცხოვრობდა.

მხატვარს უყვარდა სევილიის ქუჩებში მოხეტიალე ტანისამოსარამოგლეჯილი ლატაკი ბავშვები. მის ერთ სურათზე ბიჭები ნესვს შეექცევიან, მეორეზე—თაფლის ფიჭას, მესამეზე—ბიჭუნასა და გოგონას ყურძენი გაუყიდიათ და ახლა ხურდა ფულს ითვლიან. სევილიელი ბავშვების ერთგული მეგობრები ძაღლები არიან, მუდამ მათ ირგვლივ დარბიან და ლატაკ გოგონებსა და ბიჭუნებს თვალებში კეთილი და მოუსვენარი ღიმილი უციმციმებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯურხა ნადირაძე

უძველესი სოფლების აღმოჩენა

რაც ზემოთ ამბები გიამბეთ, ყველაფერი საქართველოში კი არ მომხდარა. მართალია, საქართველო ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანაა, მაგრამ არანაკლებ ძველი და ძლიერი ხალხები ცხოვრობდნენ საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთით. იმ ხალხებმა საფუძველი ჩაუყარეს საკაცობრიო კულტურას. თუ თქვენ არ იცით, საით არის სამხრეთ აღმოსავლეთი, პირით ამომავალი მზისკენ დადექით და მარჯვენა ხელი მხრის გასწვრივ გაშალეთ — მზესა და თქვენს ხელს შორის მოქცეული მიმართულებაა სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთი. ამ მხარეს გადაშლილია მახლობელი აღმოსავლეთი, სადაც დიდი მდინარეების — ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე (შუამდინარეთში), პალესტინაში, ირანში და ანატოლიაში, ისე როგორც სომხეთსა და საქართველოში, დედამიწის ზურგზე ყველაზე ადრე ჩაისახა და განვითარდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა; აშენდა სახლი და აენთო საოჯახო კერა; ყველაზე ძველი ნაგებობა, რომელიც კი დღემდე ადამიანის თვალს უნახავს, პალესტინაში აღმოაჩინეს.

უძველესი დროის ერთ ხელნაწერ წიგნში არქეოლოგებმა ამოიკითხეს, რომ პალესტინაში, მდინარე იორდანის სანაპიროზე ოდესლაც არსებობდა უძველესი ქალაქი იერიქონი. წაიკითხეს თუ არა ეს ამბავი, გუდანაბადი აიკრეს, გვალვისაგან გამოფიტული გორები გადაიარეს და მდინარე იორდანის ხეობას შეუყვნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ შემაღლებულ ადგილზე ბორცვი შეხვდათ და იმას დაადგეს თვალი. დაღლილებმა ზურგჩანთები მიწაზე დაყარეს და როდესაც დაისვენეს, ბორცვის დასაზვე-



მხატვარი ედუარდ ამგზოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გაემგზავრნენ. მზე რომ გადაიხარა, გახარებულები დაბრუნდნენ და მიწაზე სხვადასხვა ფერისა და ფორმის თიხის ჭრელი ნატეხები დაახვავეს. ეს ნატეხები არქეოლოგებს მიანიშნებდა, რომ აქ, ღარიბი სოფლის რიჰას მახლობლად, შორეულ წარსულში უნდა არსებულიყო დიდი და ლამაზი ქალაქი.

არქეოლოგებმა გათხრები დაიწყეს და სულ მალე მიწაში მკვიდრად ნაშენი ორი კედელი იპოვნეს, რომლებიც გარშემო უვლიდნენ იმ ბორცვს. ლოდებით ნაგები ეს ფართო კედლები მნახველს გრანდიოზულობით აოცებდა. ერთი მათგანის სიგანე სამ მეტრს აღემატებოდა, ხოლო მეორისა — ორს. ძველ წიგნში, ბიბლია რომ ჰქვია, მტრისგან უძლეველი ეს კედლებიც იყო მოხსენიებული. არქეოლოგებმა იპოვნეს ბიბლიური იერიქონი, და ლეგენდა სინამდვილედ იქცა. თუმცა მაშინ მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამიათასხუთასი წლის წინათ აშენებული ძველი იერიქონის ქვეშ კიდევ აღმოჩნდებოდა ქალაქი, რომელიც იერიქონზე ხუთასი წლით უფროსი იქნებოდა. არქეოლოგებმა გათხრები გააგრძელეს. რაც უფრო ღრმად თხრიდნენ, თიხის ჭურჭელს ვეღარსად აწყდებოდნენ. როცა თხუთმეტ მეტრზე ჩავიდნენ, იპოვნეს ალიზის აგურით ნაგები შესანიშნავი სოფელი. ეს იყო დედამიწის ზურგზე აშენებული პირველი სოფელი, სადაც ციხე-კოშკიც კი იდგა. ქვით ნაგები ამ ციხე-კოშკის სიმაღლე რვა მეტრზე მეტი იყო, სიგანე — ათი მეტრი. მეცნიერებმა გაზომეს იერიქონის ნამოსახლარი, დათვალეს სახლები და დაიანგარიშეს, რომ აქ ორიათასამდე ადამიანი ცხოვრობდა. იერიქონი ალბათ პირველი დიდი დასახლება იყო, სადაც ყველა ბავშვი ერთმანეთს არ იცნობდა, და მიუხედავად ამისა მას ქალაქი მაინც არ ეთქმის. ქალაქები მაშინ წარმოიქმნა, როდესაც დამწერლობა გამოიგონეს. იერიქონის მოსახლეობა კი არა თუ დამწერლობას, თიხის ჭურჭელსაც კი არ იცნობდა. იერიქონის ქვის კოშკებზე შემომდგარმა მტრის მოთვალყურე გუშაგების მრავალმა თაობამ ათასზე მეტი წელი ისე იცხოვრა, რომ მათთვის მოხარშული კერძი არავის მიურთმევია. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თიხის ჭურჭელი ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე ათასწლეულში გამოიგონეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ის კაცი, ვინც პირველმა გააკეთა თიხის ჭურჭელი, ცხრაათასი წლის წინათ დაიბადა. ხომ გახსოვთ როგორ გამოწვეს ორმოსებური ფორმის უხეში თიხის ჭურჭელი. იმ დღიდან დაწყებული ადამიანი სულ იმის ცდაში იყო, სხვადასხვა დანიშნულების ლამაზი ჭურჭელი გაეკეთებინა, და გააკეთა კიდეც. ჭურჭელს თავდაპირველად ჭდეული ორნამენტით ამკობდა. ეს ორნამენტი ზოგი მზეს ჰგავდა, ზოგი ტალღას, ზოგი ფოთოლს. დრო რომ გავიდა, ადამიანმა ახლა უფრო ლამაზი და ნატიფად ნაძერწი მოხატული ჭურჭლები გაკეთა. ენა ვერ იტყვის უხსოვარ დროში მოღვაწე მხატვრების მიერ შესრულებული ნახატების სილამაზეს. არქეოლოგებმა ისინი აღმოაჩინეს შუამდინარეთის უძველესი სოფლების გათხრების დროს. იმ სოფლებში საქართველოსავით წრიული ფორმის გუმბათიან სახლებს კი არ აშენებდნენ, ოთხკუთხედი ფორმის სახლები ჰქონდათ.

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მთიულეთში სახინკლე და სახაჭაპურე ცომის გასაბრტყელებლად დაბალ, სამფეხიან მაგიდას ხმარობენ, რომელსაც კახჭინას ეძახიან. ეს სიტყვა არც ლექსიკონში გვხვდება, არც რომელიმე წიგნში. კარგი იქნება თუ სამფეხა მაგიდას ამის შემდეგ კახჭინას დავუძახებთ“.

ნინო ტარეაშვილი,
თამარიკო აფციაური

ქ. თბილისის 167-ე სკოლის VI² კლასის მოსწავლეები.

კარლო კოზმერიძე.

ნინო და თამრიკო რომ გვწერენ, სიტყვა „კახჭინა“ არც ლექსიკონში გვხვდება, არც რომელიმე წიგნშიო, მართალი არ არის. ეს სიტყვა შეტანილია ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ანუ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში. წიგნში კი არც ჩვენ შეგვხვედრია. შეიძლება რომელიმე მწერალმა გამოიყენა თავის ნაწარმოებებში, მაგრამ არ გვახსოვს. აი, როგორ განმარტავენ დიალექტს: „საერთო-სახალხო ენის განშტოება — ადგილობრივი მეტყველება, რომელზედაც ლაპარაკობს ტომის, ხალხის ან ერის ერთი ნაწილი, — კილო, კილოკავი“.

ის სიტყვები, დიალექტს რომ მიეწერება, სალიტერატურო ენაში არ იხმარება, უფრო დიალოგში გამოიყენება ხოლმე. ისიც

მაშინ, როცა ავტორს სურს ხაზი გაუსვას ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა (ვთქვათ: კახელის, იმერელის, რაჭველის...) დამახასიათებელ მეტყველებას.

ჩვენს წარმოდგენაში მაგიდას ოთხი ფეხი აქვს, თუმცა სამფეხიანი მაგიდებიც არის. ამიტომ ოთხფეხიანი მაგიდისაგან განსხვავებით სამფეხიან, დაბალ მაგიდას ამის შემდეგ კახჭინას თუ დავარქმევთ, ანუ მთიულეთის გარდა სხვაგანაც ეცოდინებათ, მაშინ ეს სიტყვა სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრდება. ეს კი აუცილებელია, ვინაიდან ამის შემდეგ ოთხფეხიანი მაგიდისაგან განსხვავებით სამფეხიანი მაგიდაო, კი არ ვიტყვით, არამედ კახჭინას.

ნინომ და თამრიკომ მშვენიერი სიტყვა მოგვაწოდეს. სხვებმაც რომ ასე იმარჯვონ, მართლაც კარგი, ძალიან კარგი იქნება!

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიანგარიშეთ!



ამ თავსატეხში არც ერთ ციფრს არ გაწვდით. თქვენ თვითონ უნდა გამოითვალოთ, რა ციფრები შეიძლება იყოს „დამალული“ ამ ფიგურებში. თუ კარგად დაფიქრდით, უსათუოდ გამოიყვანთ. ორი ერთიდაიგივე სამნიშნა რიცხვის შეკრებით ხომ ოთხნიშნა რიცხვია მიღებული. ესე იგი, საიდან უნდა დაიწყოთ ფიქრი? რა რას უნდა ნიშნავდეს? აბა, გამოიანგარიშეთ. ამ თავსატეხს შეიძლება სამი სწორი პასუხი მოუძებნოთ.



უშანგ სახლთხუციშვილი

ჭილო

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დევზარხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კოტბაღიძე, ბელა ლოსაბერიძე, მაკვალა მრევლიშვილი, ჯუმბა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაუარი (პასუხისმგებელი), ბესო ფეფიანაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 3. 07. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 08. 84 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ფიზ ნაბ. ფურცელ. 2,5 ტირაჟი 163000, შეკვეთა № 1479

უდაზე ნაბატი ნანა
ჟურნალიანი.

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 163000. Заказ № 1470.

6 70/129

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76055

ჩხირკედელა

ხაშხაშის დედოფალი

ნელი ოჭროპირიძე

ერთხელ ჩხირკედელამ მინდორში ხაშხაშის უამრავი ნაყოფი იპოვა, ყაყაჩოს ფურცლები დასცვენოდა და მხოლოდ ხმელი ხაშხაში დარჩენილიყო.

რკოს კაცუნამ ხაშხაში სახელოსნოში წამოიღო, დიდხანს უტრიალა და ბოლოს გადაწყვიტა ხაშხაშისაგან დედოფალა გაეკეთებინა.

ერთ ხაშხაშს მოკლე ღერო დაუტოვა, მეორეს — გრძელი. მოკლე ღერო გრძელღეროიანი ხაშხაშის გვირგვინში ჩაარჭო (რასაკვირველია, გვირგვინი წინასწარ სადგისით გახვრიტა) და წებოც წაუსვა, რომ დედოფალას თავი და კისერი კარგად დამაგრებულიყო. შემდეგ ფერადი ქაღალდისაგან ყვავილის ფურცლების ფორმის კაბა გამოჭრა და დედოფალას წვრილ წელზე მიაწება. გაუკეთა გულისპირი, სარტყელი, ლეჩაქი. ხელებისათვის ხის ხმელი წკირები გამოიყენა; შავი ძაფისაგან ნაწნავები დაწნა და თავზე მიაწება; დედოფალა გრძელი ფეხით პოლისტიროლის რბილ სადგამში ჩააყენა, ფეხსაცმელებად შუაზე გაჭრილი პატარა რკო მიაწება; სახეზე ლამაზი თვალები და ცხვირ-პირი დაუხატა; ხაშხაშის დედოფალა მართლაც თვალწარმტაცი რამ გამოვიდა.